ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2026393

ნომერი: AR1327695

თარიღი : 17.07.2015

გაცემის თარიღი : 23.07.2015

გაცნობის თარიღი : 24.07.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 47 , კვარტალი I , კორპუსი 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ ხელაია პ/ნ 01017036746
- თბილისი ლ.ასათიანის ქ. N 42

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ბიბლუსი კოდი: 205254892

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებებისშეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე). ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ.თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოსქალაქის როგორც მხატვრული იერსახის, ასევე ცალკეული ქუჩების, კვარტლების, მაგისტრალების, ინფრასტრუქტურის და ა. შ შემდგომი განვითარების კუთხით, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ობიექტი განთავსებულია თვითმმართველი ერთეულის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ქალაქის გეგმარებით კარკასზე, მსგავსი პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს როგორც არსებული შენობის იერსახეზე, ასევე ტერიტორიის, ქუჩის შემდგომ მიზანშეუწონელ განვითარებაზე, გამომდინარე აქედან სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია არსებული წიგნების მაღაზიის მიმდებარედ საძირკვლის არ მქონე მსუბუქი კარკასის შენობა/ნაგებობის განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.